შპს „მშენ-ექსპერტი +“

A – ტიპის ინსპექტირების ორგანო

მის: ქ. თბილისი, გიორგი მიროტაძის ქუჩა,
№6, სართული 3, ბინა №4

ტელ.: (+995) 595-95-25-22

ს/კ 406304896

აკრედიტაციის მოწმობის №:GAC-IB-0350

ინსპექტირების ანგარიშის №: FT-218/03/26-I218

გაცემის თარიღი: “ 20 ” 03 2026 წელი

ინსპექტირების თარიღი: 18.03.2026÷ 20.03.2026 წელი

ინსპექტირების ობიექტის იდენტიფიკაცია:

ქალაქი თბილისი, მტკვრის მარჯვენა სანაპირო, ზვიად გამსახურდიას სანაპირო 3(ს/კ 01.15.04.030.034), რესტორნის შენობის პროექტისთვის ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ინსპექტირება.

ვამტკიცებ,

დირექტორი _____ ნ. ჭიპაშვილი

შპს „მშენ-ექსპერტი +“ * GEORGIA. MS-EN-EXPERTI + * 406304896

ინსპექტირების ანგარიში
(ექსპერტიზის დასკვნა)

დამკვეთის იდენტიფიკაცია:	შპს „გეოლოგიური სამსახური“, ს/კ 405217509 დირექტორი: ნინო სადრაძე
ანგარიშის შედგენის საფუძველი:	განაცხადი №-218/03/26-I218 (18.03.2026 წ) ხელშეკრულება №C-218/03/26-I218 (18.03.2026 წ)
ინსპექტირების სფერო:	საინჟინრო-გეოლოგიური ნაწილის ინსპექტირება
ინსპექტირების ამოცანა:	ქალაქი თბილისი, მტკვრის მარჯვენა სანაპირო, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N 3(ს/კ 01.15.04.030.034), რესტორნის შენობის პროექტისთვის ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ინსპექტირება.

თბილისი
2026 წელი

შემადგენლობა

1. ინსპექტირების შემსრულებლები 3
2. ინსპექტირებისათვის წარმოდგენილი მასალები 3
3. გამოყენებული ნორმატიული დოკუმენტები 3
4. კვლევითი ნაწილი 4
5. დასკვნა 10

გაფრთხილება

ინსპექტირების შემსრულებლები ინსპექტირების ორგანოს ხელმძღვანელის მიერ გაფრთხილებული და პასუხისმგებელნი ვართ ინსპექტირება ვაწარმოოთ მიუკერძოებლობლად, ჯეროვნად ჩავატაროთ კვლევა და დავიცვათ ინსპექტირების ჩატარების დროს მიღებული ან წარმოქმნილი ნებისმიერი სახის ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

წარმოდგენილი მასალები

1. ქალაქი თბილისი, მტკვრის მარჯვენა სანაპირო, ზვიად გამსახურდიას სანაპირო 3(ს/კ 01.15.04.030.034), რესტორნის შენობის პროექტისთვის ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები.

გამოყენებული ნორმატიული ლიტერატურა

1. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილებაში №71):
   - ტექნიკური რეგლამენტი - „შენობების და ნაგებობების ფუძეები" (დანართი №2);
   - ტექნიკური რეგლამენტი - „სამშენებლო კლიმატოლოგია" (დანართი №5);
2. СНиП 1.02.07-87 „საინჟინრო-საძიებო სამუშაოების მშენებლობისათვის";
3. პნ 01.01.-09 სეისმომედეგი მშენებლობა;
4. სნ და წ. IV-5-82 მიწის სამუშაოები;
5. სნ და წ. 2.02.02-85 ჰიდროტექნიკური ნაგებობების ფუძეები;
6. სნ და წ. 2.02.03-85 ხიმინჯოვანი საძირკვლები;
7. პნ 02.01-08 შენობების და ნაგებობების ფუძეები;
8. სნ და წ. 2.02.01-83 საინჟინრო გამოკვლევები მშენებლობებისათვის;
9. საქართველოს მთავრობის დადგენილება №257;
10. MEP-TP-G06.5 ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები.

კვლევითი ნაწილი

ინსპქტირებაზე წარმოდგენილია: ქალაქი თბილისი, მტკვრის მარჯვენა სანაპირო, ზვიად გამსახურდიას სანაპირო 3(ს/კ 01.15.04.030.034), რესტორნის შენობის პროექტისთვის ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები.

ექსპერტიზის მიზანია წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობის დადგენა საინჟინრო გეოლოგიური კვლევების წარმოებისათვის საქართველოში ამჟამად მოქმედი სტანდარტებისა და ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებთან (ტექნიკური დავალება თან ერთვის საინჟინრო-გეოლოგიურ დასკვნას).

შპს „მაქმანი“-ს დაკვეთის საფუძველზე შპს გეოლოგიური სამსახურის გეოლოგებმა ჩაატარეს საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები ქ. თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N3, ავტოგასამართი სადგური „თეონა"-სა და საზ.კვების პავილიონ „ნიკორწმინდა"-ს შორის, ს/კ. №01.15.04.030.034 სამშენებლო მოედნის შესწავლისთვისთვის. სამშენებლო მოედანზე გათვალისწინებულია რესტორნის შენობის მშენებლობა.

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ამოცანას წარმოადგენს ნაკვეთის საინჟინრო-გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობების დადგენა, მოედნის ამგები გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების შესწავლა და უბანზე გავრცელებული საშიში გეოდინამიკური მოვლენების შეფასება.

დასაპროექტებელი ნაგებობების დაფუძნების პირობების განსაზღვრისათვის ჩატარებულია შემდეგი სახის და მოცულობის სამუშაოები: მოძიებულია და დასკვნაში გამოყენებულია გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის მიერ 2019 წელს ჩატარებული კვლევები “ქ, თბილისის ტერიტორიის საინჟინრო-გეოდინამიკური პირობები და გეოლოგიური საფრთხეების შეფასება”, გ. ჯაფარიძის “თბილისის საინჟინრო გეოლოგია”, როგორც საინჟინრო-გეოლოგიური კვლევებიდან ირკვევა უბნის საინჟინრო-გეოლოგიური შეფასების მიზნით დათვალიერებულია მიმდებარე ტერიტორია, ლითოლოგიური ჭრილის დასადგენად და ნიმუშების ასაღებად გაყვანილია 3 ჭაბურღილი, საერთო სიღრმით 36 გრძ/მ, და 1 შურფი 3,0 მ-მდე მომიჯნავე შენობის საძირკვლის ტიპის და გეომეტრიული ზომების დასადგენად. ბურღვა მიმდინარეობდა შპს „გეოლოგიური სამსახური“-ს საკუთრებაში არსებული საბურღი აგრეგატის УРБ 2-А2-ის საშუალებით, სვეტური მეთოდით, კერნის უწყვეტი ამოღებით. გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების შესასწავლად აღებულია 18 ნიმუში და ერთი წყლის ნიმუში, რომლებზეც ლაბორატორიული კვლევები ჩატარდა შპს გეოლოგიური სამსახურის დაკვეთით შპს „წყალი და გრუნტის გეოტექნიკური“ ლაბორატორიაში. როგორც კვლევიდან ირკვევა, ჭაბურღილების გეგმური და სიმაღლითი მიბმა განხორციელდა დამკვეთის მიერ

გადმოცემული ტოპოგეგმის მიხედვით, სადაც მოცემულია ჭაბურღილების გაყვანის კოორდინატები.

კვლევები ჩატარებულია და დასკვნა შედგენილია საქართველოში ამჟამად მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების - (სამშენებლო წესები და ნორმები) მოთხოვნების შესაბამისად: ს.ნ. და წ. 1.02.07-87 (საინჟინრო გამოკვლევები მშენებლობისათვის), პნ 01.05-08 (სამშენებლო კლიმატოლოგია), პნ 02.01-08 (შენობების და ნაგებობების ფუძეები), ს.ნ. და წ. IV-5-82 (მიწის სამუშაოები), ს.ნ., წ. 2.02.03-85 (ხიმინჯოვანი საძირკვლები), ს.ნ. და წ. 3.02.01-87 (მიწის ნაგებობები, ნაგებობათა ფუძეები და საძირკვლები), პნ 01.01.-09 (სეისმომედეგი მშენებლობა), სახსტანდარტი 25100-82 (გრუნტები, კლასიფიკაცია). საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები ჩატარდა 2026 წლის მარტში.

საკვლევი მოედანი მდებარეობს, აღმოსავლეთ საქართველოში, ქ. თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე საკვლევი უბნის კლიმატური ირობების შეფასებისას გეოლოგი ეყრდნობა ქ. თბილისის მეტეოროლოგიური სადგურების მონაცემებს და აღწერს მას.. ტერიტორიის საერთო კლიმატური პირობები ზომიერად კონტინენტურია. საქართველოს ტერიტორიის სამშენებლო კლიმატური დარაიონების სქემის მიხედვით განეკუთვნება IIIგ კლიმატურ ქვერაიონს. წლის საშუალო ტემპერატურა 12.6°C, წლის აბსოლუტური მინიმუმი -24°C, აბსოლუტური მაქსიმუმი 40°C.. ნალექების წლიური რაოდენობა 560 მმ-ს შეადგენს, გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე თიხოვანი, თიხნარი და მსხვილნატეხი გრუნტისთვის 0 სმ-ია.

გეომორფოლოგიური თვალსაზრისით საკვლევი ტერიტორია მიეკუთვნება სამხრეთ საქართველოს მთიანეთის ზონის, საშუალო სიმაღლის მთა-ხეობიანი რელიეფის ქვეზონას, აგებულია მეზოზოური და პალეოგენური ვულკანოგენური და დანალექი დანაწევრებული ქედებით და ეროზიულ-დენუდაციური რელიეფით ხასიათდება (საქართველოს ეროვნული ატლასი, 2012). საკვლევი ტერიტორია მდებარეობს მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე და წარმოადგენს მდ.მტკვრის ჭალისზედა I ტერასას. ტერიტორიის რელიეფი ჰორიზონტული ზედაპირით არის წარმოდგენილი, რომელსაც მცირედი დახრა ჩრდილოეთის მიმართულებით გააჩნია. სამშენებლო მოედანს დასავლეთიდან ავტოგასამართი სადგური ესაზღვრება, ჩრდილოეთიდან მდინარე მტკვარი, სამხრეთიდან ზვიად გამსახურდიას სანაპირო, ხოლო აღმოსავლეთიდან რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი. სამშენებლო მოედანი განაშენიანებულია, მოედანზე მდებარეობს არსებული რესტორნის შენობები, რომლებიც დემონტაჟს ექვემდებარება. მოედნის აბსოლუტური ნიშნულები 391,9-392,4 მ-ის ფარგლებში იცვლება.

საკვლევი მოედანი საქართველოს ტერიტორიის ტექტონიკური დარაიონების სქემის მიხედვით (ადამია, 2004) მდებარეობს აჭარა-თრიალეთის ნაოჭაშეცოცებითი ზონის აღმოსავლურ დაბოლოებაზე, მამადავითის ანტიკლინის ჩრდილო ფრთაზე.

სამშენებლო მოედნი მდებარეობს ტექნოგენურ გრუნტზე. მის ქვეშ გავრცელებულია მეოთხეული ასაკის ალუვიური ნალექები, რომლებიც წარმოდგენილია: ხრეშოვანი გრუნტით ქვიშის შემავსებელზე. მეოთხეული ნალექების საგებს წარმოდგენს ზედაეოცენურ-ოლიგოცენური ასაკის მამადავითის წყების ტერიგენული ტურბიდიტები, რომელიც ლითოლოგიურად ქვიშაქვების და არგილიტების რიტმული მორიგეობით არის წარმოდგენილი. ქანების განლაგების ელემენტებია დაქანების აზიმუტი 350-355^0, ხოლო დახრის კუთხე 15-20^0

საქართველოს ჰიდროგეოლოგიური რუკის მიხედვით საკვლევი ტერიტორია განთავსებულია აჭარა-თრიალეთის ნაოჭა ზონის წყალწნევიანი სისტემების ჰიდროგეოლოგიური ოლქის, ნაპრალური და ნაპრალურ-კარსტული გრუნტის წყლების თბილისის აუზში, რომელიც წყალუხვია D>0.1წმ და ხასიათდება სუსტი მინერალიზაციის ხარისხით (ნაკლები 1გ/ლ; ბუაჩიძე და ზედგენიძე, 1970; ზედგენიძე, 1971). გრუნტის წყლების ფორმირება, მოძრაობა და გავრცელება განისაზღვრება მდ. მტკვრის ჭალისზედა I ტერასის გეომორფოლოგიური პირობებით და გეოლოგიური აგებულებით. ტერიტორიის მთავარ ჰიდროგრაფიულ ელემენტს წარმოადგენს მდ. მტკვარი,

საკვლევი მოედნიდან მდინარე დაშორებულია 10-15 მ-ით და გამოყოფილია 3,5-5,0 მ-ის სიმაღლის ნაპირსამაგრი ჯებირით, ჯებირი მოწყობილია გასული საუკუნის 50-70-იან წლებში და წარმოადგენს კაპიტალურ საინჟინრო- დაცვის ღონისძიებას, ამიტომ მდინარის ეროზიული მოქმედება სამშენებლო მოედანზე მოსალოდნელი არ არის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მდინარე მტკვრის ნაპირსამაგრი ჯებირი გათვლილია 100 წლიან უზრუნველყოფის ხარჯზე.

ტერიტორია საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულიდან გამომდინარე, თანახმად ს.ნ. და წ. 1.02.07-87-ის დანართ 10-ის მიხედვით, უბანი განეკუთვნება II (საშუალო) სირთულის კატეგორიას.

ჩატარებული საველე სამუშაოებისა და ლაბორატორიული კვლევების მონაცემების საფუძველზე სამშენებლო მოედანზე გამოყოფილია სამი ფენა:

ფენა №1 ნაყარი გრუნტი - tQIV – თიხნარის მასა ბეტონის, აგურის ნამტვრევების და საყოფაცხოვრებო ნარჩენების ჩანართებით, შემკვრივებული. 3,7 მეტრიდან წყალშემცველი. ფენის სიმძლავრე 6,2-8,2 მ-ია. ფენა წარმოდგენილია არაერთგვაროვანი თიხნარული მასით, რომელიც შეიცავს ბეტონის და აგურის ნატეხებს და ასევე სამშენებლო ნარჩენებს. ფენა წარმოქმნილია გასული საუკუნის 50-

იან 70-იან წლებში, მდინარე მტკვრის ნაპირის ხელოვნურად ასამაღლებლად და ასევე წარმოადგენს მდინარე მტკვირს ნაპირსამაგრ ჯებირთან უკუყრილ გრუნტს. გრუნტის თვითშემკვრივების პროცესი სნ და წ. 2.02.01-83 ცხრ. 20 და ცხრ. 132-ის თანახმად დასრულებულია დროის შესაბამისი პერიოდის გასვლის გამო. გრუნტი შემკვრივებულია, დატკეპნილია და ფლობს გარკვეულ სტრუქტურას. გრუნტიდან აღებულ 6 ნიმუშზე საცრული მეთოდით შესწავლილია გრუნტების გრანულომეტრიული შედგენილობა, შედეგები მოყვანილია ცხრილში 1 (იხ. საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა).

გრუნტი დამუშავების სიძნელის მიხედვით მიეკუთვნება 24-a-II კატეგორიას.

გრუნტი სეისმური თვისებების მიხედვით მიეკუთვნება III კატეგორიას.

ფენა №2 ხრეში - aQ_{IV} – ქვიშის შემავსებლით 30%-მდე, წყალშემცველი. გრუნტი დასინჯულია 6 ნიმუშით. ფენა წარმოადგენს მდინარე მტკვრის ალუვიურ ნალექს. ფენა წარმოდგენილია მსხვილი და საშუალო ზომის კენჭებით. მასალა კარგად დამუშავებული და დახარისხებულია, კენჭებს აქვთ მომრგვალებული ფორმა. კენჭები წარმოდგენილია როგორც დანალექი ისე მაგმური ქანების ნატეხებისგან. საცრული მეთოდით შესწავლილია გრუნტის გრანულომეტრიული შედგენილობა. შედეგები მოცემულია ცხრილ 3-ში და ლაბორატორიული კვლევების შედეგები ჯამურ უწყისში (იხ. საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა).

გრუნტი დამუშავების სიძნელის მიხედვით მიეკუთვნება 6-г-IV კატეგორიას. ხოლო სეისმური თვისებების მიხედვით მიეკუთვნება II კატეგორიას.

ფენა №3 ქვიშაქვების და არგილიტების მორიგეობა - e6-e7 – მონაცრისფრო-მოლურჯო ფერის, მცირე სიმტკიცის. ქვიშაქვების ტექსტურა უწესრიგოა. ფენა წარმოდგენილია ქვიშაქვების და არგილიტების მორიგეობით. ქვიშაქვებს და არგილიტებს შორის კავშირი მტკიცეა, ამიტომ ისინი შეგვიძლია განვიხილოთ ერთიან ფენად. ფენა დასინჯულია 6 ნიმუშით. ნიმუშებზე ჩატარდა გამოცდები სიმტკიცეზე ერთღერძა კუმშვისას, როგორც ბუნებრივ, ასევე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში, ასევე ჩატარდა ძვრაზე გამოცდები, შინაგანი ხახუნის კუთხის და ხვედრითი შეჭიდულობის დასადგენად. გრუნტის თვისებების ნორმატიული მაჩვენებლები მოყვანილია ცხრილ 5-ში, ხოლო ლაბორატორიული კვლევების მასალები და შედეგები წარმოდგენილია დანართებში ცხრილების სახით (იხ. საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა).

გრუნტი დამუშავების სიძნელის მიხედვით მიეკუთვნება 28-б-VI კატეგორიას.

გრუნტი სეისმური თვისებების მიხედვით მიეკუთვნება II კატეგორიას.

ინჟინერ-გეოლოგმა დაადგინა სამშენებლო მოედანზე გრუნტის წყლის გამოჩენა დაფიქსირდა 3,7-4,0 მ-ის სიღრმეზე, დონის დამყარების აბს. ნიშ. 388.2 მ. ქიმიური შედგენილობით წყალი სულფატურ-ჰიდროკარბონატულ -კალციუმ-ნატრიუმ-მაგნიუმიანია. წყალი საშუალოდ აგრესიულია W_4 მარკის ბეტონის მიმართ, სუსტად აგრესიულია W_6 მარკის ბეტონის მიმართ და არ არის აგრესიული W_8 მარკის ბეტონის მიმართ. არ არის აგრესიული არმატურის მიმართ რკინა-ბეტონის კონსტრუქციების მუდმივი დაძირვის პირობებში, საშუალოდ აგრესიულია პერიოდული დასველების დროს.

ასევე დაადგინეს ქალაქი თბილისი, მტკვრის მარჯვენა სანაპირო, ზვიად გამსახურდიას სანაპირო 3 რესტორნის შენობის პროექტისთვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთი ს/კ 01.15.04.030.034 მდებარეობს ჰორიზონტულ ტექნოგენურ რელიეფზე. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ 2019 წელს ჩატარებული კვლევების "ქ, თბილისის გეოლოგიური საფრთხეების შეფასების ანგარიში"-ს გეოლოგიური საფრთხეების ზონირების მიხედვით, საკვლევი მოედანი მიეკუთვნება დაბალი გეოლოგიური საფრთხის ზონას. დეტალური კვლევის შედეგად დადგინდა რომ, მიწის ნაკვეთი მდგრადია, ამჟამად, მასზე და მიმდებარე ტერიტორიაზე საშიში გეოლოგიური მოვლენები (მეწყერი, ზვავი, კარსტი, სუფოზია და სხვ.) განვითარებული არ არის.

სამშენებლო მოედანზე გამოიყო სამი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი ამ სგე-ის ნორმატიული და საანგარიშო მნიშვნელობები მოცემულია ცხრილში 6 (იხ. საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა).

ინჟიერ-გეოლოგი იძლევა რეკომენდაციას ქვაბულის გახსნის დროს, ატმოსფერული ზემოქმედების გამო, გრუნტისთვისებები იცვლება. ხდება გრუნტის დასველება ატმოსფერული ნალექებით, მზის და ქარის ზემოქმედებით ინტენსიურად მიმდინარეობს გამოფიტვის პროცესი, რაც იწვევს ქვაბულის ფერდოს ადგილობრივი მდგრადობის დარღვევას. ამ პროცესის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია ქვაბულის ფერდოს მიეცეს ქანობი, რომლის დახრაც განისაზღვრება სნ და წ III-4-80-ის თავი 9-ის ცხრილი 4-ის მოთხოვნების საფუძველზე, რომლის მიხედვით 5 მ-მდე ქვაბულის ფერდოს დახრა ნაყარი გრუნტისთვის მიიღება 1:1,25 ანუ 38 ; ხოლო ქვაბულის ფერდოს ვერტიკალური ქანობის შემთხვევაში, როდესაც ქვაბული 5 მ-ზე მეტია, აუცილებელია მისი ფერდოების გამაგრება შპუნტების, ხიმინჯების, საყრდენი კედლების ან სხვა მეთოდების გამოყენებით.

ქ. თბილისი - პნ 01.01.-09 "სეისმომედეგი მშენებლობა" სეისმური საშიშროებისრუკის დანართის მიხედვით განეკუთვნება 8 ბალიან სეისმური საშიშროების ზონას. სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი - 0.17; ხოლო

უბნის ამგები გრუნტები სეისმური თვისებებით, იმავე კრებულის ცხრ. №1-ის მიხედვით მიეკუთვნებიან III კატეგორიას.

ანგარიშის ტექსტური ნაწილი შესაბამისობაშია ლაბორატორიული კვლევების და გრაფიკული ნაწილის მასალებთან.

ქალაქი თბილისი, მტკვრის მარჯვენა სანაპირო, ზვიად გამსახურდიას სანაპირო 3(ს/კ 01.15.04.030.034), რესტორნის შენობის პროექტისთვის ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგების მიმართ ინსპექტირებას პრეტენზია არ გააჩნია და ეძლევა დადებითი შეფასება.

დანართი – საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები თან ერთვის დასკვნას ელ-ვერსიით.

დასკვნა

ქალაქი თბილისი, მტკვრის მარჯვენა სანაპირო, ზვიად გამსახურდიას სანაპირო 3(ს/კ 01.15.04.030.034), რესტორნის შენობის პროექტისთვის ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ანგარიში შესაბამისობაშია მოქმედი ნორმატული დოკუმენტების მოთხოვნებთან და ეძლევა დადებითი შეფასება.

იხ. კვლევითი ნაწილი.

ინსპექტირების ანგარიში შეადგინა:

ინსპექტორი: Nina Areshidze 01011027216 Digitally signed by Nina Areshidze Date: 2026.03.20 17:20:04 ***/ნ. არეშიძე/***

ინსპექტირების ანგარიში ტექნიკურად გადაამოწმა:

ტექნიკური მენეჯერი,

პროფესორი: Malkhaz Tsikarishvili 01020012181 Digitally signed by Malkhaz Tsikarishvili Date: 2026.03.20 17:28:27 ***/მ. წიქარიშვილი /***

ინსპექტირების ანგარიში ადმინისტრაციულად გადაამოწმა:

ინსპექტირების ორგანოს ხელმძღვანელი: ***/ა. ჭიპაშვილი/***

Aleksandre Chipashvili 01020006249 Digitally signed by Aleksandre Chipashvili Date: 2026.03.20 17:29:57

საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა

ქალაქი თბილისი, მტკვრის მარჯვენა სანაპირო, ზვიად გამსახურდიას

სანაპირო N3 რესტორნის შენობის პროექტი

ს/კ 01.15.04.030.034

თბილისი

მარტი

2026

მისამართი: ტ.ტაბიძის ქ.30, თბილისი, საქართველო. ტელეფონი: 595 595915
Address: 30, T.Tabidze str., Tbilisi, Georgia. Cell phone: 595 595915. e-mail: info@geologicalservice.ge

საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა

ქალაქი თბილისი, მტკვრის მარჯვენა სანაპირო, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N3 რესტორნის შენობის პროექტი

ს/კ 01.15.04.030.034

შპს გეოლოგიური სამსახურის დირექტორი

გეოლოგიის აკადემიური დოქტორი ნ.სადრაძე

გეოლოგიის და საინჟინრო-გეოლოგიის

მაგისტრი, ინჟინერ-გეოლოგი გ.სადრაძე

მისამართი: ტ.ტაბიძის ქ.30, თბილისი, საქართველო. ტელეფონი: 595 595915
Address: 30, T.Tabidze str., Tbilisi, Georgia. Cell phone: 595 595915. e-mail: info@geologicalservice.ge

სარჩევი

1. შესავალი 4
2. ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება, გეოლოგიური აგებულება და ჰიდროგეოლოგიური პირობები 5
3. უბნის ჰიდროლოგიური პირობები 8
4. გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები 10
5. დასკვნები და რეკომენდაციები 14
6. ციტირებული ლიტერატურა 17

დანართები

1	ტექნიკური დავალება	2ფ
2	ჭაბურღილების განლაგების სქემა	1ფ
3	საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილები	4ფ
4	გამონამუშევრების გეოლოგიურ-ლითოლოგიური სვეტები	4ფ
5	ლაბორატორიული მასალები	16ფ
6	ფოტოფიქსაცია	3ფ

მისამართი: ტ.ტაბიძის ქ.30, თბილისი, საქართველო. ტელეფონი: 595 595915
Address: 30, T.Tabidze str., Tbilisi, Georgia. Cell phone: 595 595915. e-mail: info@geologicalservice.ge

1. შესავალი

შპს **მაქმანის** დაკვეთის საფუძველზე შპს გეოლოგიური სამსახურის გეოლოგებმა ჩაატარეს საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები ქ. თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N3, ავტოგასამართი სადგური ,,თეონა"-სა , და საზ.კვების პავილიონ ,,ნიკორწმინდა"-ს შორის, ს/კ. #01.15.04.030.034 სამშენებლო მოედნის შესწავლისთვისთვის. სამშენებლო მოედანზე გათვალისწინებულია რესტორნის შენობის მშენებლობა.

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ამოცანას წარმოადგენს ნაკვეთის საინჟინრო-გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობების დადგენა, მოედნის ამგები გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების შესწავლა და უბანზე გავრცელებული საშიში გეოდინამიკური მოვლენების შეფასება.

დასაპროექტებელი ნაგებობების დაფუძნების პირობების განსაზღვრისათვის ჩატარებულია შემდეგი სახის და მოცულობის სამუშაოები: მოძიებულია და დასკვნაში გამოყენებულია გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის მიერ 2019 წელს ჩატარებული კვლევები “ქ, თბილისის ტერიტორიის საინჟინრო-გეოდინამიკური პირობები და გეოლოგიური საფრთხეების შეფასება”, გ. ჯაფარიძის “თბილისის საინჟინრო გეოლოგია”, უბნის საინჟინრო-გეოლოგიური შეფასების მიზნით დათვალიერებულია მიმდებარე ტერიტორია, ლითოლოგიური ჭრილის დასადგენად და ნიმუშების ასაღებად გაყვანილია 3 ჭაბურღილი საერთო სიღრმით 36 გრძ/მ, და 1 შურფი 3,0 მ-მდე, მომიჯნავე შენობის საძირკვლის ტიპის და გეომეტრიული ზომების დასადგენად. ბურღვა მიმდინარეობდა შპს გეოლოგიური სამსახურის საკუთრებაში არსებული საბურღი აგრეგატის УРБ 2-А2-ის საშუალებით, სვეტური მეთოდით, კერნის უწყვეტი ამოღებით. გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების შესასწავლად აღებულია 18 ნიმუში, რომლებზეც ლაბორატორიული კვლევები ჩატარდა შპს გეოლოგიური სამსახურის და შპს წყალი და გრუნტის გეოტექნიკურ ლაბორატორიაში. ჭაბურღილების გეგმური და სიმაღლითი მიბმა განხორციელდა დამკვეთის მიერ გადმოცემული ტოპოგეგმის მიხედვით. საველე სამუშაოების

მისამართი: ტ.ტაბიძის ქ.30, თბილისი, საქართველო. ტელეფონი: 595 595915
Address: 30, T.Tabidze str., Tbilisi, Georgia. Cell phone: 595 595915. e-mail: info@geologicalservice.ge

დამთავრების შემდეგ ჭაბურღილები ამოივსო ამოღებული მასალით. კვლევები ჩატარებულია და დასკვნა შედგენილია საქართველოში ამჟამად მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების - (სამშენებლო წესები და ნორმები) მოთხოვნების შესაბამისად: ს.ნ. და წ. 1.02.07-87 (საინჟინრო გამოკვლევები მშენებლობისათვის), პნ 01.05-08 (სამშენებლო კლიმატოლოგია), პნ 02.01-08 (შენობების და ნაგებობების ფუძეები), ს.ნ. და წ. IV-5-82 (მიწის სამუშაოები), ს.ნ., წ. 2.02.03-85 (ხიმინჯოვანი საძირკვლები), ს.ნ. და წ. 3.02.01-87 (მიწის ნაგებობები, ნაგებობათა ფუძეები და საძირკვლები), პნ 01.01.-09 (სეისმომედეგი მშენებლობა), სახსტანდარტი 25100-82 (გრუნტები, კლასიფიკაცია). საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები ჩატარდა 2026 წლის მარტში.

2. ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება, გეოლოგიური აგებულება და ჰიდროგეოლოგიური პირობები

საკვლევი მოედანი მდებარეობს, აღმოსავლეთ საქართველოში, ქ. თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე. ტერიტორიის საერთო კლიმატური პირობები ზომიერად კონტინენტურია. საქართველოს ტერიტორიის სამშენებლო კლიმატური დარაიონების სქემის მიხედვით განეკუთვნება IIIგ კლიმატურ ქვერაიონს. წლის საშუალო ტემპერატურა 12.6°C, წლის აბსოლუტური მინიმუმი -24°C, აბსოლუტური მაქსიმუმი 40°C. წლის საშუალო ფარდობითი ტენიანობა - 66%, ყველაზე ცივი თვის საშუალო ფარდობითი ტენიანობა - 60%, ყველაზე ცხელი თვის საშუალო ფარდობითი ტენიანობა - 146%. ნალექების წლიური რაოდენობა 560 მმ-ს შეადგენს, ხოლო დღეღამური მაქსიმუმი - 146 მმ. თოვლის საფარის წონა 0,50 კპა, თოვლის საფარის დღეთა რიცხვი - 15. ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა 5 წელიწადში ერთხელ - 0,48 კპა, ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა 15 წელიწადში ერთხელ - 0,60 კპა. ქარის უდიდესი სიჩქარე შესაძლებელი 1, 5, 10, 15 და 20 წელიწადში ერთხელ - შესაბამისად 24, 28, 30, 32, და 33 მ/წმ. გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე თიხოვანი, თიხნარი და მსხვილნატეხი გრუნტისთვის 0 სმ-ია.

მისამართი: ტ.ტაბიძის ქ.30, თბილისი, საქართველო. ტელეფონი: 595 595915
Address: 30, T.Tabidze str., Tbilisi, Georgia. Cell phone: 595 595915. e-mail: info@geologicalservice.ge

სეისმომედეგი მშენებლობისთვის ქ.თბილისი შეფასებულია როგორც 8 ბალიანი, ხოლო A - სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი - 0.17-ია.

გეომორფოლოგიური თვალსაზრისით საკვლევი ტერიტორია მიეკუთვნება სამხრეთ საქართველოს მთიანეთის ზონის, საშუალო სიმაღლის მთა-ხეობიანი რელიეფის ქვეზონას, აგებულია მეზოზოური და პალეოგენური ვულკანოგენური და დანალექი დანაწევრებული ქედებით და ეროზიულ-დენუდაციური რელიეფით ხასიათდება (საქართველოს ეროვნული ატლასი, 2012). საკვლევი ტერიტორია მდებარეობს მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე და წარმოადგენს მდ.მტკვრის ჭალისზედა I ტერასას. ტერიტორიის რელიეფი ჰორიზონტული ზედაპირით არის წარმოდგენილი, რომელსაც მცირედი დახრა ჩრდილოეთის მიმართულებით გააჩნია. სამშენებლო მოედანს დასავლეთიდან ავტოგასამართი სადგური ესაზღვრება, ჩრდილოეთიდან მდინარე მტკვარი, სამხრეთიდან ზვიად გამსახურდიას სანაპირო, ხოლო აღმოსავლეთიდან რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი. სამშენებლო მოედანი განაშენიანებულია, მოედანზე მდებარეობს არსებული რესტორნის შენობები, რომლებიც დემონტაჟს ექვემდებარება. მოედნის აბსოლუტური ნიშნულები 391,9-392,4 მ-ის ფარგლებში იცვლება.

საკვლევი მოედანი საქართველოს ტერიტორიის ტექტონიკური დარაიონების სქემის მიხედვით (ადამია, 2004) მდებარეობს აჭარა-თრიალეთის ნაოჭა-შეცოცებითი ზონის აღმოსავლურ დაბოლოებაზე, მამადავითის ანტიკლინის ჩრდილო ფრთაზე (სურ.1).

მისამართი: ტ.ტაბიძის ქ.30, თბილისი, საქართველო. ტელეფონი: 595 595915
Address: 30, T.Tabidze str., Tbilisi, Georgia. Cell phone: 595 595915. e-mail: info@geologicalservice.ge



სურათი 2. საკვლევი არეს მდებარეობა საქართველოს ტექტონიკური რუკაზე (ადამია, 2004)

სამშენებლო მოედნი მდებარეობს ტექნოგენურ გრუნტზე. მის ქვეშ გავრცელებულია მეოთხეული ასაკის ალუვიური ნალექები, რომლებიც წარმოდგენილია: ხრეშოვანი გრუნტით ქვიშის შემავსებელზე. მეოთხეული ნალექების საგებს წარმოდგენს ზედაეოცენურ-ოლიგოცენური ასაკის მამადავითის წყების ტერიგენული ტურბიდიტები, რომელიც ლითოლოგიურად ქვიშაქვების და არგილიტების რიტმული მორიგეობით არის წარმოდგენილი. ქანების განლაგების ელემენტებია დაქანების აზიმუტი 350-355^0, ხოლო დახრის კუთხე 15-20^0 (სურ.3).

მისამართი: ტ.ტაბიძის ქ.30, თბილისი, საქართველო. ტელეფონი: 595 595915
Address: 30, T.Tabidze str., Tbilisi, Georgia. Cell phone: 595 595915. e-mail: info@geologicalservice.ge



სურათი 3. საკვლევი არეს მდებარეობა საქართველოს გეოლოგიურ რუკაზე (Папава и др. 1971)

საქართველოს ჰიდროგეოლოგიური რუკის მიხედვით საკვლევი ტერიტორია განთავსებულია აჭარა-თრიალეთის ნაოჭა ზონის წყალწნევიანი სისტემების ჰიდროგეოლოგიური ოლქის, ნაპრალური და ნაპრალურ-კარსტული გრუნტის წყლების თბილისის აუზში, რომელიც წყალუხვია D>0.1წმ და ხასიათდება სუსტი მინერალიზაციის ხარისხით (ნაკლები 1გ/ლ; ბუაჩიძე და ზედგენიძე, 1970; ზედგენიძე, 1971). გრუნტის წყლების ფორმირება, მოძრაობა და გავრცელება განისაზღვრება მდ. მტკვრის ჭალისზედა I ტერასის გეომორფოლოგიური პირობებით და გეოლოგიური აგებულებით.

3. უბნის ჰიდროლოგიური პირობები

ტერიტორიის მთავარ ჰიდროგრაფიულ ელემენტს წარმოადგენს მდ. მტკვარი, ამიერკავკასიის უდიდესი მდინარე, რომელსაც სათავე აქვს თურქეთში 2742 მ-ზე, ყიზილ-გიადუკის მთის აღმოსავლეთ კალთაზე. ერთვის კასპიის ზღვას

მისამართი: ტ.ტაბიძის ქ.30, თბილისი, საქართველო. ტელეფონი: 595 595915
Address: 30, T.Tabidze str., Tbilisi, Georgia. Cell phone: 595 595915. e-mail: info@geologicalservice.ge

აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. სიგრძე 1515 კმ, აუზის ფართობი 188 ათ. კმ². საქართველოში მოქცეულია მტკვრის შუაწელის დაახლოებით 400 კმ მონაკვეთი. მდ. მტკვარი რომელიც ქალაქს თითქმის მერიდიანული მიმართულებით ჰკვეთს, მას ორ ნაწილად ჰყოფს: უფრო ამაღლებული _ მარჯვენა სანაპირო და მნიშვნელოვნად დადაბლებული _ მარცხენა სანაპირო. მდინარე მტკვარი განსახილველ რაიონში ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ მიედინება, რამდენადმე გადახრით სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ. მდინარის ძირითადად 100-200 მეტრი სიგანის კალაპოტი მეტეხის ციხესთან 35-40 მ-მდე ვიწროვდება. ნაპირები მკვეთრად არის გამოკვეთილი. ქალაქის ფარგლებში მოქცეულია 5-6 მეტრი სიმაღლის ბეტონის კედლებში. კვების მიხედვით მდ. მტკვარი შერეულ, თოვლით და წვიმებით კვების ტიპს მიეკუთვნება. მყინვარული და გრუნტის წყლები კვებაში მეორეხარისხოვან როლს ასრულებს. მდ. მტკვრის რეჟიმი ცვალებადია. ზამთარში იგი მაქსიმალურად წყალმცირეა, გაზაფხულზე და ზაფხულის დასაწყისში წყლის მაღალი დონეებით ხასიათდება, ხოლო ზაფხულის ბოლოს და შემოდგომაზე ისევ წყალმარჩხობით გამოირჩევა, ოღონდ, უფრო ნაკლებით, ვიდრე ზამთრის პერიოდში. საკმაოდ ხშირია თავსხმა წყალდიდობები, რომლებიც ხანგრძლივობით გაზაფხულისას ჩამოუვარდება, მაგრამ მნიშვნელოვნად აღემატება მას სიდიდით. ზამთრის წყალმცირობის პერიოდში მდ. მტკვარი ხასიათდება წყლის დაბალი დონეებით, ცალკეული, მაგრამ ხშირი პიკებით; მარტის ბოლოდან პიკები მატულობს და მაისში და ივნისის დასაწყისში მაქსიმუმს აღწევს. ზაფხულის პერიოდი ხასიათდება წყლის მძაფრი და მკვეთრი მატებით, ცალკეული პიკების სახით. დონეების შესაბამისად, მდ. მტკვრის ხარჯი მაქსიმუმს (212 მ3/წმ) გაზაფხულის წყალდიდობის პერიოდში აღწევს, ხოლო მინიმუმი (79.6 მ3/წმ) ზამთარში აღინიშნება. ქიმიური შედგენილობით მდ. მტკვრის წყალი ტუტემიწათა მეტალების კარბონატული და სულფატური მარილების სიჭარბით ხასიათდება. წყლის სიხისტე (თბილისის ფარგლებში) 26.02 მგ/ექვ. შეადგენს.

საკვლევი მოედნიდან მდინარე დაშორებულია 10-15 მ-ით და გამოყოფილია 3,5-5,0 მ-ის სიმაღლის ნაპირსამაგრი ჯებირით, ჯებირი მოწყობილია გასული საუკუნის 50-70-იან წლებში და წარმოადგენს კაპიტალურ საინჟინრო-

მისამართი: ტ.ტაბიძის ქ.30, თბილისი, საქართველო. ტელეფონი: 595 595915
Address: 30, T.Tabidze str., Tbilisi, Georgia. Cell phone: 595 595915. e-mail: info@geologicalservice.ge

დაცვის ღონისძიებას, ამიტომ მდინარის ეროზიული მოქმედება სამშენებლო მოედანზე მოსალოდნელი არ არის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მდინარე მტკვრის ნაპირსამაგრი ჯებირი გათვლილია 100 წლიან უზრუნველყოფის ხარჯზე.

4. გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები

ტერიტორია საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულიდან გამომდინარე, თანახმად ს.ნ. და წ. 1.02.07-87-ის დანართ 10-ის მიხედვით, უბანი განეკუთვნება II (საშუალო) სირთულის კატეგორიას. სამშენებლო მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური სურათის მისაღებად, აღნიშნულ მოედანზე გაყვანილია სამი ჭაბურღილი, კლდოვან ქანში 1,7-2,5 მ-ის ჩაღრმავებით მაქსიმალური სიღრმით 12,0 მ-მდე; და ერთი შურფი მომიჯნავე შენობის საძირკვლის ტიპის და გეომეტრიული ზომების დასადგენად მაქსიმალური სიღრმით 3,0 მ. ჩატარებული საველე სამუშაოების და ლაბორატორიული კვლევების მონაცემების საფუძველზე სამშენებლო მოედანზე გამოყოფილია სამი ფენა.

ფენა #1 ნაყარი გრუნტი - tQ_{IV} – თიხნარის მასა ბეტონის, აგურის ნამტვრევების და საყოფაცხოვრებო ნარჩენების ჩანართებით, შემკვრივებული. 3,7 მეტრიდან წყალშემცველი. ფენის სიმძლავრე 6,2-8,2 მ-ია. ფენა წარმოდგენილია არაერთგვაროვანი თიხნარული მასით, რომელიც შეიცავს ბეტონის და აგურის ნატეხებს და ასევე სამშენებლო ნარჩენებს. ფენა წარმოქმნილია გასული საუკუნის 50-იან 70-იან წლებში, მდინარე მტკვრის ნაპირის ხელოვნურად ასამაღლებლად და ასევე წარმოადგენს მდინარე მტკვირს ნაპირსამაგრ ჯებირთან უკუყრილ გრუნტს. გრუნტის თვითშემკვრივების პროცესი სნ და წ. 2.02.01-83 ცხრ. 20 და ცხრ. 132-ის თანახმად დასრულებულია დროის შესაბამისი პერიოდის გასვლის გამო. გრუნტი შემკვრივებულია, დატკეპნილია და ფლობს გარკვეულ სტრუქტურას. გრუნტიდან აღებულ 6 ნიმუშზე საცრული მეთოდით შესწავლილია გრუნტების გრანულომეტრიული შედგენილობა, შედეგები მოყვანილია ცხრილში 1. **ცხრილი 1**

ფრაქციის ზომა, მმ	.>40.0	40.0-20.0	20.0-10.0	10.0-5.0	5.0-2.0	2.0-1.0	1.0-0.5	0.5-0.25	0.25-0.1	0.1-005	0.05-0.01	0.01-0.005	<0.005
საშუალო % რაოდ.	3.3	6.3	10.7	11.2	7.7	5.8	3.7	4.7	5.1	6.9	9.8	12.6	12.3
ჯამური % რაოდ.	3.3	9.6	20.3	31.5	39.2	45.0	48.6	53.3	58.4	65.4	75.1	87.7	100.0

მისამართი: ტ.ტაბიძის ქ.30, თბილისი, საქართველო. ტელეფონი: 595 595915
Address: 30, T.Tabidze str., Tbilisi, Georgia. Cell phone: 595 595915. e-mail: info@geologicalservice.ge

გრანულომეტრილი შედგენილობის საფუძველზე გრუნტის სიმტკიცის და დეფორმაციული თვისებების განსაზღვრისთვის გამოყენებულია "методика оценки прочности и сжимаемости крупнообломочных грунтов. ДальНИИС 1989". გრუნტის 3 ნიმუშზე ჩატარდა კომპრესიული გამოცდა ბუნებრივი ტენიანობის პირობებში, საფეხურებრივი დატვირთვით 0,25 კგძ/სმ² 3,0 კგ-მდე. დეფორმაციის მოდული განისაზღვრა 2,0 კგძ/სმ² დატვირთვის დროს. 3,0 კგძ/სმ² დატვირთვისას ჩაჯდომის მოდული Lp=74 მმ/მ, რაც პროფ. ნ. ნ. მასლოვის კლასიფიკაციის მიხედვით გრუნტს კუმშვადობის მიხედვით IV კატეგორიას ანუ ძლიერკუმშვად გრუნტებს მიაკუთვნებს. პირობითი საანგარიშო მნიშვნელობა მიღებულია პნ 2.02.01.-83 დანართი 3, ცხრ. 5-ის საფუძველზე. გრუნტის თვისებების ნორმატიული მნიშვნელობები მოცემულია ცხრილში 2, ხოლო ლაბორატორიული კვლევების შედეგები ჯამურ უწყისში.

ცხრილი 2

ბუნებრივი ტენიანობა	W	ერთ. ნაწ.	0.253
პლასტიურობის ზედა ზღვარი	W_L	ერთ. ნაწ.	0.355
პლასტიურობის ქვედა ზღვარი	Wp	ერთ. ნაწ.	0.220
პლასტიურობის რიცხვი	Ip	ერთ. ნაწ.	13.5
დენადობის მაჩვენებელი	I_L	ერთ. ნაწ.	0.29
ტენიანობის ხარისხი	Sr	ერთ. ნაწ.	0.88
ნორმატიული სიმკვრივე	ρ	გ/სმ³	1.91
შიგა ხახუნის კუთხე	φ	გრად	28º
ხვედრითი შეჭიდულობა	C	კგძ/სმ²	0,17
დეფორმაციის მოდული	E	კგძ/სმ²	110
პუასონის კოეფიციენტი	μ	ერთ. ნაწ.	0.35
პირობითი საანგარიშო წინაღობა	R_0	კგძ/სმ²	1,5

გრუნტი დამუშავების სიძნელის მიხედვით მიეკუთვნება 24-а-II კატეგორიას.

გრუნტი სეისმური თვისებების მიხედვით მიეკუთვნება III კატეგორიას.

ან დაზუსტდეს სპეციალური კვლევების შედეგად.

მისამართი: ტ.ტაბიძის ქ.30, თბილისი, საქართველო. ტელეფონი: 595 595915
Address: 30, T.Tabidze str., Tbilisi, Georgia. Cell phone: 595 595915. e-mail: info@geologicalservice.ge

ფენა #2 ხრეში - aQ_{IV} – ქვიშის შემავსებლით 30%-მდე, წყალშემცველი. გრუნტი დასინჯულია 6 ნიმუშით. ფენა წარმოადგენს მდინარე მტკვრის ალუვიურ ნალექს. ფენა წარმოდგენილია მსხვილი და საშუალო ზომის კენჭებით. მასალა კარგად დამუშავებული და დახარისხებულია, კენჭებს აქვთ მომრგვალებული ფორმა. კენჭები წარმოდგენილია როგორც დანალექი ისე მაგმური ქანების ნატეხებისგან. საცრული მეთოდით შესწავლილია გრუნტის გრანულომეტრიული შედგენილობა. შედეგები მოცემულია ცხრილ 3-ში და ლაბორატორიული კვლევების შედეგები ჯამურ უწყისში.

ცხრილი 3

ფრაქციის ზომა, მმ	.>40.0	40.0-20.0	20.0-10.0	10.0-5.0	5.0-2.0	2.0-1.0	1.0-0.5	0.5-0.25	0.25-0.1	0.1-005	0.05-0.01	0.01-0.005	<0.005
საშუალო % რაოდ.	16.0	16.2	24.1	10.1	6.7	4.4	3.6	3.6	3.7	4.6	5.4	1.6	0.0
ჯამური % რაოდ	16.0	32.2	56.3	66.4	73.1	77.5	81.1	84.7	88.4	93.0	98.4	100.0	100.0

ცხრილში მოცემული სიდიდეების მიხედვით 10 მმ-ზე მეტი ზომის ფრაქციები გრუნტის მასაში აღემატება 50%-ს, რაც პნ 02.01-08-ის დან. 1, ცხრ.3-ის მიხედვით კლასიფიცირდება როგორც ხრეშოვანი გრუნტი. ქვიშის შემავსებელი გრუნტის მასაში 30%-ზე მეტია, ამიტომ გრუნტის მახასიათებლები აიღება შემავსებლის მახასიათებლების გათვალისწინებით.

ცხრილი 4

#	ფიზიკურ-მექანიკური თვისებების დასახელება	ინდექსი	განზ. ერთ.	ნორმატიული
1	სიმკვრივე	ρ	გ/სმ3	2,07
2	შიგა ხახუნის კუთხე	φ	გრად.	38^0
3	ხვედრითი შეჭიდულობა	C	კგძ/სმ2	0,02
4	დეფორმაციის მოდული	E	კგძ/სმ2	400
5	პუასონის კოეფიციენტი	μ	ერთ. ნაწ.	0,27
6	პირობითი საანგარიშო წინაღობა	R_0	კგძ/სმ2	6,0

გრუნტი დამუშავების სიძნელის მიხედვით მიეკუთვნება 6-ე-IV კატეგორიას.

გრუნტი სეისმური თვისებების მიხედვით მიეკუთვნება II კატეგორიას.

ფენა #3 ქვიშაქვების და არგილიტების მორიგეობა - e6-e7 - მონაცრისფრო-მოლურჯო ფერის, მცირე სიმტკიცის. ქვიშაქვების ტექსტურა უწესრიგოა. ფენა წარმოდგენილია ქვიშაქვების და არგილიტების მორიგეობით. ქვიშაქვებს და

მისამართი: ტ.ტაბიძის ქ.30, თბილისი, საქართველო. ტელეფონი: 595 595915
Address: 30, T.Tabidze str., Tbilisi, Georgia. Cell phone: 595 595915. e-mail: info@geologicalservice.ge

არგილიტებს შორის კავშირი მტკიცეა, ამიტომ ისინი შეგვიძლია განვიხილოთ ერთიან ფენად. ფენა დასინჯულია 6 ნიმუშით. ნიმუშებზე ჩატარდა გამოცდები სიმტკიცეზე ერთღერძა კუმშვისას, როგორც ბუნებრივ, ასევე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში, ასევე ჩატარდა ძვრაზე გამოცდები, შინაგანი ხახუნის კუთხის და ხვედრითი შეჭიდულობის დასადგენად. გრუნტის თვისებების ნორმატიული მაჩვენებლები მოყვანილია ცხრილ 5-ში, ხოლო ლაბორატორიული კვლევების მასალები და შედეგები წარმოდგენილია დანართებში ცხრილების სახით.

ცხრილი 5

#	ფიზიკურ-მექანიკური თვისებების დასახელება	ინდექსი	განზ. ერთ.	ნორმატიული მნიშვნელობა
1	სიმკვრივე	ρ	გ/სმ³	2,39
2	სიმტკიცე წყალნაჯერ მდგომარეობაში	Rcw	მპა	14,4
3	დარბილების კოეფიციენტი	k		0,69
4	ხვ. შეჭიდულობა	C	მპა	4,1
5	შიგა ხახუნის კუთხე	φ	გრადუსი°	27°
6	დრეკადობის მოდული წყალნაჯერი	E	მპა	3250
7	პუასონის კოეფიციენტი	μ		0,25

სახ.სტანდარტი 25100-82-ის მიხედვით გრუნტი მიეკუთვნება დანალექ, შეცემენტებულ, დარბილებად, მცირე სიმტკიცის კლდოვან ქანებს.

გრუნტი დამუშავების სიძნელის მიხედვით მიეკუთვნება 28-ნ-VI კატეგორიას.

გრუნტი სეისმური თვისებების მიხედვით მიეკუთვნება II კატეგორიას.

სამშენებლო მოედანზე გრუნტის წყლის გამოჩენა დაფიქსირდა 3,7-4,0 მ-ის სიღრმეზე, დონის დამყარების აბს. ნიშ. 388.2 მ. ქიმიური შედგენილობით წყალი სულფატურ-ჰიდროკარბონატულ -კალციუმ-ნატრიუმ-მაგნიუმიანია. წყალი საშუალოდ აგრესიულია W_4 მარკის ბეტონის მიმართ, სუსტად აგრესიულია W_6 მარკის ბეტონის მიმართ და არ არის აგრესიული W_8 მარკის ბეტონის მიმართ. არ არის აგრესიული არმატურის მიმართ რკინა-ბეტონის კონსტრუქციების მუდმივი დაძირვის პირობებში, საშუალოდ აგრესიულია პერიოდული დასველების დროს.

მისამართი: ტ.ტაბიძის ქ.30, თბილისი, საქართველო. ტელეფონი: 595 595915
Address: 30, T.Tabidze str., Tbilisi, Georgia. Cell phone: 595 595915. e-mail: info@geologicalservice.ge

5. დასკვნები და რეკომენდაციები

1. ქალაქი თბილისი, მტკვრის მარჯვენა სანაპირო, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N3 რესტორნის შენობის პროექტისთვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთი ს/კ 01.15.04.030.034 მდებარეობს ჰორიზონტულ ტექნოგენურ რელიეფზე. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ 2019 წელს ჩატარებული კვლევების "ქ, თბილისის გეოლოგიური საფრთხეების შეფასების ანგარიში"-ს გეოლოგიური საფრთხეების ზონირების მიხედვით, საკვლევი მოედანი მიეკუთვნება დაბალი გეოლოგიური საფრთხის ზონას. დეტალური კვლევის შედეგად დადგინდა რომ, მიწის ნაკვეთი მდგრადია, ამჟამად, მასზე და მიმდებარე ტერიტორიაზე საშიში გეოლოგიური მოვლენები (მეწყერი, ზვავი, კარსტი, სუფოზია და სხვ.) განვითარებული არ არის.
2. სამშენებლო მოედანზე გამოიყო სამი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი ამ სგე-ების ნორმატიული და საანგარიშო მნიშვნელობები მოცემულია ცხრილში 6.

ცხრილი 6

სგე	ნორმატიული და საანგარიშო მნიშვნელობები	სიმკვრივე გ/სმ³	ხვედრითი შეჭიდულობა C კგძ/სმ²	შიგა ხახუნის კუთხე φ გრად	სიმტკიცე ერთღერძა კუმშვაზე Rc მპა	პირობითი საანგარიშო წინაღობა R₀, კგძ/სმ²	დეფორმაციის/დრეკადობის მოდული E მპა	პუასონის კოეფიციენტი μ	გრუნტის დასახელება
I	A_n	1.91	0.17	28°		1.5	10	0.35	ნაყარი თიხნარი
	α =0,85	1.90	0.17	28°					
	α =0,95	1.89	0.11	24°					
II	A_n	2.07	0.02	38°		6.0	40	0.27	ხრეში ქვიშის შემავსებლით
	α =0,85	2.06	0.02	38°					
	α =0,95	2.05	0.01	33°					

მისამართი: ტ.ტაბიძის ქ.30, თბილისი, საქართველო. ტელეფონი: 595 595915
Address: 30, T.Tabidze str., Tbilisi, Georgia. Cell phone: 595 595915. e-mail: info@geologicalservice.ge

III	A_n	2.39	41.8 (4.1 მპა)	27°	14.4		3250	0.25	ქვიშაქვების და არგილიტების მორიგეობა
	α =0,85	2.38			14.1				
	α =0,95	2.38			13.9				

შენიშვნა: ალბათობის საიმედოობა α გრუნტის საანგარიშო მახასიათებლების განსაზღვრისას მიიღება _ ფუძის ზიდვის უნარზე გაანგარიშებისას α=0.95, დეფორმაციაზე გაანგარიშებისას α=0.85

3. სამშენებლო მოედანზე წარმოდგენილი I სგე წარმოადგენს ნაყარ გრუნტს, რომელიც წარმოდგენილია თიხნარის მასით, ბეტონის და აგურის ნამტვრევების ჩანართებით, გრუნტს გააჩნია სიმტკიცის და დეფორმაციის დაბალი მახასიათებლები. ფენის ფუძის გრუნტებად გამოყენების შემთხვევაში გათვალისწინებულ იქნეს ს.ნ. და წ. 2.02.01-83 თავი 8 "ნაყარ გრუნტებზე ნაგებობების დაპროექტების თავისებურებები"-ს მოთხოვნები.

4. II სგე წარმოადგენს ხრეშს ქვიშის შემავსებლით, გრუნტს გააჩნია სიმტკიცის და დეფორმაციის კარგი მახასიათებლები.

5. III სგე წარმოდგენილია მცირე სიმტკიცის ქვიშაქვების და არგილიტების მორიგეობით. გრუნტს გააჩნია სიმტკიცის და დეფორმაციის მაღალი მახასიათებლები. ფენის ფუძის გრუნტებად გამოყენების შემთხვევაში საძირკვლის ტიპი რეკომენდებულია - ხიმინჯოვანი საძირკველი.

6. სამშენებლო მოედანზე გრუნტის წყლის დონის დამყარება დაფიქსირდა 3,7-4,0 მ-ის სიღმეზე. (აბს. ნიშ. 388,2 მ.) წყალი საშუალო სულფატური აგრესიულობით ხასიათდება, შესაბამისად საძირკვლის მოწყობისას გამოყენებულ იქნას შესაბამისი მარკის ცემენტზე დამზადებული ბეტონი.

7. სამშენებლო მოედანს ჩრდილოეთიდან ესაზღვრება მდინარე მტკვარი, რომელიც სამშენებლო მოედნიდან 50-70-იან წლებში მოწყობილი ნაპირსამაგრი ჯებირით არის გამოყოფილი, რაც მიუთითებს იმაზე რომ გატარებულია კაპიტალური საინჟინრო-დაცვის ღონისძიება, შესაბამისად სამშენებლო მოედანზე მდინარის უარყოფითი ზეგავლენა მოსალოდნელი არ არის.

8. სამშენებლო მოედანს აღმოსავლეთიდან ესაზღვრება არსებული ნაგებობა, რომლის საძირკველი მოწყობილი ლენტური ტიპის ბეტონის საძირკვლით და

მისამართი: ტ.ტაბიძის ქ.30, თბილისი, საქართველო. ტელეფონი: 595 595915
Address: 30, T.Tabidze str., Tbilisi, Georgia. Cell phone: 595 595915. e-mail: info@geologicalservice.ge

ზედაპირიდან ჩაღრმავებულია 0,9 მ-ის სიღრმეზე, საძირკვლის სიგანე 0,5 მ-ია და განლაგებიულია I სგე-ზე.

9. ქვაბულის გახსნის დროს, ატმოსფერული ზემოქმედების გამო, გრუნტის თვისებები იცვლება. ხდება გრუნტის დასველება ატმოსფერული ნალექებით, მზის და ქარის ზემოქმედებით ინტენსიურად მიმდინარეობს გამოფიტვის პროცესი, რაც იწვევს ქვაბულის ფერდოს ადგილობრივი მდგრადობის დარღვევას. ამ პროცესის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია ქვაბულის ფერდოს მიეცეს ქანობი, რომლის დახრაც განისაზღვრება სნ და წ III-4-80-ის თავი 9-ის ცხრილი 4-ის მოთხოვნების საფუძველზე, რომლის მიხედვით 5 მ-მდე ქვაბულის ფერდოს დახრა ნაყარი გრუნტისთვის მიიღება 1:1,25 ანუ 38°; ხოლო ქვაბულის ფერდოს ვერტიკალური ქანობის შემთხვევაში, როდესაც ქვაბული 5 მ-ზე მეტია, აუცილებელია მისი ფერდოების გამაგრება შპუნტების, ხიმინჯების, საყრდენი კედლების ან სხვა მეთოდების გამოყენებით.

10. ქ. თბილისი - პნ 01.01.-09 “სეისმომედეგი მშენებლობა” სეისმური საშიშროების რუკის დანართის მიხედვით განეკუთვნება 8 ბალიან სეისმური საშიშროების ზონას. სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი A - 0.17; ხოლო უბნის ამგები გრუნტები სეისმური თვისებებით, იმავე კრებულის ცხრ. #1-ის მიხედვით მიეკუთვნებიან III კატეგორიას.

პროექტის შემსრულებლები:

შპს გეოლოგიური სამსახურის დირექტორი
გეოლოგიის აკადემიური დოქტორი ნინო სადრაძე

405217509

გეოლოგიის და საინჟინრო-გეოლოგიის
მაგისტრი, ინჟინერ-გეოლოგი გუგა სადრაძე

მისამართი: ტ.ტაბიძის ქ.30, თბილისი, საქართველო. ტელეფონი: 595 595915
Address: 30, T.Tabidze str., Tbilisi, Georgia. Cell phone: 595 595915. e-mail: info@geologicalservice.ge

6. ციტირებული ლიტერატურა

ადამია შ. 2004. რედაქტორი, საქართველოს გეოლოგიური რუკა, მასშტაბი 1:500 000 (რუკა შედგენილია 1:500000 და 1:200000 მასშტაბის სახელმწიფო გეოლოგიური რუკების საფუძველზე, ციფრული ვერსია, ინგლისურ-ქართული) თსუ მ.ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტი.

ბუაჩიძე ი., ზედგენიძე ს. 1970. საქართველოს ჰიდროგეოლოგიური რუკა.

გაფრინდაშვილი მ., ქიტიაშვილი ნ., გაფრინდაშვილი გ., კახაძე მ. 2021. საინფორმაციო ჰიდროგეოლოგიური ანგარიში საქართველოს მიწისქვეშა მტკნარი სასმელი წყლის რესურსების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების შეფასება (არსებული მდგომარეობის ანალიზი, პროგნოზი და რეკომენდაციები). საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, გარემოს ეროვნული სააგენტო, გეოლოგიის დეპარტამენტი, 309გვ.

გაფრინდაშვილი მ., წერეთელი ე., .გაფრინდაშვილი გ, კვარაცხელია ზ., ქურციკიძე ო., ზ.დოლიძე, შ.ლობჟანიძე, ზ.მაისურაძე, ო.გოგრიჭიანი, ლ.ქებულაძე, გ.კუნჭულია, თ.გერკეული, დ.ჭელიძე, თ.თოღუზაშვილი, გ.ჭოტაშვილი, გ.ლანჩავა, მ.მჟავია, გ. ბასიშვილი, გ.უნაფქოშვილი, მ.გიორგობიანი, ი.ჯალაღანია, ზ.რიკაძე, ბ.ჯინორია, ნ. ფოფორაძე, ზ.ბოსტაშვილი, მა.კახაძე. 2020. საინფორმაციო ბიულეტენი საქართველოში 2019 წელს სტიქიური გეოლოგიური პროცესების განვითარების შედეგები და პროგნოზი 2020 წლისთვის. გარემოს ეროვნული სააგენტო, გეოლოგიის დეპარტამენტი. გამომცემლობა „უნივერსალი“, 506 გვერდი.

საქართველოს ეროვნული ატლასი, 2012. მთავარი რედაქტორი: რ. გობეჯიშვილი რედკოლეგიის წევრები: ლ. მაჭავარიანი, დ. ნიკოლაიშვილი. 135 თემატური რუკა.

Джапаридзе Г В. 1984. Инжинерная Геология. Изд Сабчота Сакартвело. Тбилиси. 160 стр.

Папава Д., Девдариани В, В.Агеев В. 1971. Геологичесий отчёт по работам 1968-70г.г. “Результаты геолого-съёмемочных работ и структурного бурения в пределах восточного погружния Аджаро-Триалетской складчатой системы”.

მისამართი: ტ.ტაბიძის ქ.30, თბილისი, საქართველო. ტელეფონი: 595 595915
Address: 30, T.Tabidze str., Tbilisi, Georgia. Cell phone: 595 595915. e-mail: info@geologicalservice.ge

შპს ” ქიუ ენჯინერინგი ”

ტექნიკური დავალება

საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების საწარმოებლად შენობა ნაგებობისთვის

ქ. თბილისი 2026 წელი 20.02.2026

შენობის მისამართი -	ქალაქი თბილისი, ქ. ზვიად გამახურდიის სახელობის სანაპირო №3 (ს/კ 01.15.04.030.034)
მშენებლობის პერიოდი -	2026-2029

საპროექტო შენობის დახასიათება

1. შენობის დანიშნულება -	რესტორანი
2. შენობის პასუხისმებლობის დონე -	II კლასი (თანახმად ГОСТ Р 54257-2010)
3. შენობის უდიდესი გაბარიტული ზომა -	სხვადასხვა შენობების მიხედვით
4. სართლების რაოდენობა და შენობის სიმაღლე -	სხვადასხვა შენობების მიხედვით
5 . სარდაფის არსებობა, და ჩაღრმავება მიწის ზედაპირიდან -	არ არის
6. შენობის ძირითადი კონსტრუქცია -	ჩარჩო კავშირებიანი სისტემა .
7. შენობის შევსება -	წვრილი სამშენებლო ბლოკები
8. სავარაუდო ფუნდამენტის ტიპი -	საძირკვლის ფილა ან წერტილოვანი საძირკველი.
9. ქვაბულის სავარაუდო კონსტუქცია -	დახრილად ჩაჭრილი ფერდები
10 . დატვითვები -	საძირკველის ფილის დაფუძნების შემთხვევაში 0,5-1 კგ/სმ2-ზე, წერტელებზე დაფუძნების შემთხვევაში 1,5-3 კგ/სმ2-ზე.
11. შენობის 0,00 ნიშნულის შესაბამისი აბსოლუტური ნიშნული -	დაზუსტდეს არქიტექტურის მიხედვით
12. საძირკვლის მაქსიმალური დასაშვები ჯდენა -	50 მმ სრული, 0,002L ფარდობითი (თანახმად პნ 02.01-08)
13. ნორმატული დოკუმენტები	ИНЖЕНЕРНЫЕ ИЗЫСКАНИЯ ДЛЯ СТРОИТЕЛЬСТВА СНиП1.02.07-87 ან მისი შესაბამისი სხვა ქვეყნის ნორმატული დოკუმენტი, მაგალითად **BS 1377 და BS 5930 ან** СП 11-105-97

14. შენიშვნა	გეოლოგიაში უნდა იყოს აღწერილი გრუნტის ყველა ქანის ფიზიკური და მექანიკური თვისებები. **კლდოვანი და არაკლდოვანი ქანების (მათ შორის ნაყარის) სრული ფიზიკურ მექანიკური მახასიათებლების შესწავლა.** აუცილებელია ამ გრუნტებზე მოწოდებული უნდა იქნას საანგარიშო წინაღობები R_0 წყალგაჯერებულ მდგომარეობაში, E დეფორმაციის მოდულები, C შეჭიდულობები, f შინაგანი ხახუნის კუთხეები. აგებული უნდა იქნას ყველა ჭაბურღილზე გრძივი და განივი ჭრილები (Dwg ფორმატში) და გეოლოგიურ ჭრილებზე დატანილი იქნას პლასტების რეალური დახრები. .
15. შენიშვნა	ტოპო გეგმაზე წარმოდგენილი ჭაბურღილები წარმოადგენს რეკომენდაციებს კონსტრუქციული საჭიროებიდან გამომდინარე, მათი ზუსტი რაოდენობა, სიღრმეები და მდებარეობა დაზუსტდეს ინჟინერ გეოლოგის მიერ ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნის შესაბამისად. სამუშაოების დაწყებამდე ინჟინერ გეოლოგის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს განახლებული ჭაბურღილების გეგმა, რაოდენობა და სამუშაოების შესრულების პროგრამა.
16. შენიშვნა	სჭიროა დადგენილი იქნას საპროექტო შენობასთან, მომიჯნავე (ს/კ01.15.04.030.025)-ზე მდებარე არსებული შენობის საძირკვლის ტიპი და ჩაღრმავება,

შპს „ქიუ ენჯინერინგი“

დირექტორი / მთ. ინჟინერი დ. ქევანიშვილი

თბილისი 20.02.2026



თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა	ქალაქი თბილისი, ზვიად გამსახურდიას სანაპირო №3, ნაკვ. №01.15.04.030.034-ში რესტორნის შენობის პროექტი
დირექტორი	ნ. სადრაძე		
ინჟ.გეოლოგი	გ. სადრაძე		ჭაბურღილების განლაგების სქემა
შესრულა	გ. სადრაძე		
შ.პ.ს. გეოლოგიური სამსახური	GEOLOGICAL SERVICE		

ტაღია	ფურცელი	ფურცლები	მასშტაბი
პროექტი	1	5	შემასშტაბრ



პირობითი ნიშნები

I	ნაყარი გრუნტი: თიხნარის მასა, ბეტონის, აგურის ნამტვრევების და საყოფაცხოვრებო ნარჩენების ჩანართებით, შემკვრივებული.
II	ხრეში ქვიშის შემავსებლით 30%-მდე წყალშემცველი.
III	ქვიშაქვების და არგილიტების მორიგეობა მონაცრისფრო-მოლურჯო ფერის, მცირე სიმტკიცის.
3,7(388,2)	გრუნტის წყლის დონე
	ლითოლოგიური საზღვარი

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა	
დირექტორი	ნ. სადრაძე		ქალაქი თბილისი, ზვიად გამსახურდიას სანაპირო №3, ნაკვ. №01.15.04.030.034-ში რესტორნის შენობის პროექტი
ინჟ.გეოლოგი	გ. სადრაძე		საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილი I-I
შეასრულა	გ. სადრაძე		

შ.პ.ს. გეოლოგიური სამსახური	GEOLOGICAL SERVICE	სტადია	ფურცელი	ფურცლები	მასშტაბი
		პროექტი	2	5	1:100

ЗОФ(Ч)ЗООПО БОЪБЗЗО

I — ЬЗЗЬЧЬО ЪФ7ЗЬФ-Ю ОПОЬБЧЬОЛ ЗЬЧЬ, ЬЗЗФЧЬОЛ, ЗФ7ЗЬОЛ ЬЗЬФЬФЬЗЗЗЗЬОЛ ЯЗ ЬЗЧЮЧЗЧФЬФЗЗЬЧ ЬЗЬФЬЬЗЬОЛ ЬЗЬЬЗЬЗЬОЛ, ЗЗЗЬЗЬФЬЗЗЬЗЧЬО.

II — Ь6ЬЗЗО ЛЗ0ЗЬОЛ ЗЗЗЬЗЬЬЗЬЧООП ЗФ%-ЗЧЧЗ ЧЗЗЬЧЬЗЗЬЗЧЬО.

III — ЛЗ0ЗЬЛЗЗЗЬОЛ ЯЗ ЗЬЬФЗЗЬФЗЬОЛ ЗЮЬФЗЗЮЧЗЗ ЗЮЬЬЗЧЮЬЗЬФ(Ч)-ЗЮЧЗЧЬФЗЧЗЧ ЧЗЗЬОЛ, ЗЗЗЬФЧ ЬЗЗЬФЛЗЗЗЬОЛ.

ЗЬЗЬЗЬЗЧЬО

ЬЗЗЬЧЬО ЪФ7ЗЬФ-Ю ОПОЬБЧЬОЛ ЗЬЧЬ, ЬЗЗФЧЬОЛ, ЗФ7ЗЬОЛ ЬЗЬФЬФЬЗЗЗЗЬОЛ ЯЗ ЬЗЧЮЧЗЧФЬФЗЗЬЧ ЬЗЬФЬЬЗЬОЛ ЬЗЬЬЗЬЗЬОЛ, ЗЗЗЬЗЬФЬЗЗЬЗЧЬО.

3,7(388,2) — ЗЛ7ЗЬФЬОЛ ЧЗЧЗЧЬОЛ ЯЧ%ЗЗЬФЧ

ЯЧООЮЧЗЧЗЛ7ЗЬФЧ ЬЗЧЬЗЗЬФЧ

ЗЬЗЬЗЬЗЧЬО

ЗЬЗЬЗЬЗЧЬО

ЗЬЗЬЗЬЗЧЬО

ЗОНИРОВАНИЕ ОБЪЕМОВ

I — ГЕОЛОГИЧЕСКИЕ ЭЛЕМЕНТЫ, ПОДЛЕЖАЩИЕ ВЗРЫХЛЕНИЮ И ПЕРЕМЕЩЕНИЮ ПРИ ПРОВЕДЕНИИ ГОРНЫХ РАБОТ

II — ПОРОДЫ ЛЕНТОЧНО-ТЕКСТУРНОГО ЗЕЛЕНО-БУРОГО ЦВЕТА

III — ЛЕНТОЧНО-ТЕКСТУРНЫЕ ЗЕЛЕНО-БУРЫЕ ПОРОДЫ С ПРОСЛОЯМИ ГЛИНИСТЫХ СЛАНЦЕВ

3,7(388,2) — ПРОЕКТНЫЙ УГЛОВОЙ ОТКОС БОРТА

ПРОЕКТНЫЙ КОНТУР ЗАЛЕЖИ

ГИП	ВЕЛИЧКО Т.А.		ДОКУМЕНТАЦИЯ ПО ПОДСЧЕТУ ЗАПАСОВ ФОСФОРИТОВ ЗАЛЕЖИ №1 БАССЕЙНА ФОСФОРИТОВ ЧЕРНОЗЕМНОЙ ЗОНЫ		
ГЕОЛОГ	ЛЕВЧЕНКО Е.Ю.	

ЭОФЧЭООПЭ БОЗБЭЭО

I	ЕЭЭЭЭЧЭЭЭЭ ЭЭЭЭЭЭЭЭЭ ЭЭЭЭЭЧЭЭЭ ЭЭЭЧ, ЭЭЭЭЧЭЭЭЭЭЭЭЭЭ

ჭაბურღილის გეოლოგიურ-ლითოლოგიური სვეტი
ჭაბურღილის გაყვანის თარიღი 02.03.2026

ჭაბ. №1 მასშ: 1:20 აბს. ნიშნ 392.1

სიღრმე მ	სტრატიგრაფიული ინდექსი	ლითოლოგიური ჭრილი	შრის სიების სიღრმე მ	შრის სიმძლავრე მ	აბს. ნიშნული მ	ბრუნტის აღწერა	წყლის გამოჩენა მ	ღონის დამყარება მ	ნიმუშის აღების სიღრმე მ
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1									
2									2.0
3	tQiv					ნაყარი გრუნტი: თიხნარის მასა, ბეტონის, აგურის ნამტვრევების და საყოფაცხოვრებო ნარჩენების ჩანართებით, შემკვრივებული			
4					388.2			3.9	
5						”			4.8
6			6.2	6.2	385.9				
7									7.0
8	aQiv					ხრეში ქვიშის შემავსებლით 30%-მდე წყალშემცველი			
9			9.5	3.3	382.6				8.6
10									10.0
11	e6-e7					ქვიშაქვების და არგილიტების მორიგეობა, მონაცრისფრო-მოლურჯო ფერის, მცირე სიმტკიცის.			10.9
12			12.0	2.5	380.1				11.5

ჭაბურღილის გეოლოგიურ-ლითოლოგიური სვეტი
ჭაბურღილის გაყვანის თარიღი 03.03.2026

ჭაბ. №2 მასშ: 1:20 აბს. ნიშნ 391.9

